Инвент. №
Цена

№ 12 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. შაბათი, 17 იანვარი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთის ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. მე-მ ცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. განგვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით.

შაბათს, იანვრის 17 ოპერა მუშებისათვის ქართულ მუსიკალურ საზოგადოებისა და საქართველოს კოოპერატივთა კავშირის სტუდიის მიერ დადგმული იქნება

### 1. თქმულება შოთა რუსთაველზე

### 2. ბალეტი

კვირას, იანვრის 18-ს თარხან მოურავის ბენეფისი „ტრავიატა". ორშაბათს იანვრის 19-ს „ფრა დიავოლო". სამშაბათს, იანვრის 20 ს ო. ს. ოცხოვი კალანდაძის ბენეფისი „ქეთო და კოტე". ოთხშაბათს, იანვრის 21-ს „ბოგემა". ხუთშაბათს იანვრის 22-ს „აბესალომი და ეთერი". 85 1—1

## დრამატიული საზოგადოების სარევიზიო კომისია

აუწყებს ხსენებულ საზოგადოების წევრებს, რომ ორშაბათს, 19 იანვარს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნებია: 1. მიღება ახალ წევრებისა, 2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 3. არჩევნები ახალ გამგეობისა,4) მიმდინარე საკითხები. კრება შესდგება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. 5—4 24

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## კომერციული კურსები თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესისათვის. (ტფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, სად. 5—7 საათ. იხსნება ახალი განყოფილება. 49 5—5

## საქართველოს კოოპერატიულ ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი

აუწყებს ბანკის აქციონერთ, რომ ამ წლის 15 თებერვალს, ქ. ტფილისში, ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის შენობაში (კოოპერატივის ქუჩა № 15) დილის 10 საათზე დანიშნულია საქართველოს კოოპერატიულ ბანკის აქციონერთა პირველი საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1. მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტისა. 2. სააქციონერო თანხის გადიდება. 3. წესდების 49 მუხლის შეცვლა. 4. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 5. გამგეობის და საბჭოს არჩევნები. 6. მიმდინარე საკითხები. წესდების 49—50 მუ. ძალით ყოველ კოოპერატიულ დაწესებულებას, რომელსაც აქვს ორი აქცია, უფლება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას გადამწყვეტი ხმის უფლებით. ბანკის აქციონერთ შეუძლიათ ხმის უფლება გადასცენ სხვა აქციონერებს, რომელთაგანაც არავის არ შეუძლია ორზე მეტი რწმუნება ექონიოს. რწმუნება ხმის უფლების გადაცემის შესახებ ეძლევა წერილის ფორმით, რომელიც უნდა წარმოდგენილ იქნეს სამი დღით ადრე საზოგადო კრებამდე. 21 3—3

## ოფიციალური განყოფილება.

## დეკრეტი

**ხეთა-ზუგდიდის რკინისგზის შტოს დასამთავრებლად 7,315,000 მან. გადადებისა.**

1. გადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გზათა მინისტრის განკარგულებაში შვიდი მილიონი სამას თხუთმეტი ათასი (7,315,000) მან. ხეთა ზუგდიდის რკინის გზის დასამთავრებლად, ამასთანავე დართული ნუსხის თანახმად.

2. პირველ მუხლში აღნიშნული თანხიდან გადადებულ იქნეს სამუშაოს ავანსად ერთი მილიონი ორასი ათასი (1,200,000) მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 30-ს.

საქართველოს დამფუძნებელი
კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

## ნუსხა ხარჯებისა.

**ხეთა-ზუგდიდის რკინის გზის შტოს დასამთავრებლად.**

| №№ რიგ. | სამუშაოს სახელწოდება. | ღირებულება. |
|---|---|---|
| 1 | მამულის ჩამორთმევა | არ არის საჭირო. |
| 2 | მიწის მუშაობა | 1805500 მან. |
| 3 | ხელოვნური შენობანი | 1030250 „ |
| 4 | ზედა შენობანი | 2245250 „ |
| 5 | ლიანდაგისათვის საჭირო ხელსაწყო | 8250 „ |
| 6 | ტელეგრაფი | 79000 „ |
| 7 | დარაჯთა სახლები, ყაზარმები და გადასასვლელები | 60000 „ |
| 8 | სადგურის შენობანი | 707500 „ |
| 9 | წყალსადენის (ქარიზის) მოწყობა | 100000 „ |
| 10 | სადგურის მოწყობილება | 71500 „ |
| 11 | სადმინისტრაციო და საზოგადო ხარჯი | 1047000 „ |
| 12 | სახელმწიფო კონტროლის შენახვა | 60000 „ |
| | სულ | 7315000 მან. |

1919 წ. დეკემბრის 30-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

## დეკრეტი

**სახელმწიფო კონტროლის შტატისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისა.**

1. ამა 1919 წლის ნოემბრის 4-ს დეკრეტით დაწესებული სახელმწიფო კონტროლის შტატისა და ხარჯთაღრიცხვის ნაცვლად (საქ. რეს. კან. და მთავ. განკარ. კრებ. 1919 წ. № 186) დამტკიცებულ იქნეს ამ დეკრეტთან დართული სახელმწიფო კონტროლის შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

2. პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ამა 1919 წლის ნოემბრის 1 დან 1920 წლის ივნისის 1 დე ხუთი მილიონი ორას ოთხმოცდაცხრა ათას ოცდაოთხი მანეთი და 95 კაპ. (5,289, 024 მან. 95 კ.).

3. მეორე მუხლში აღნიშნული თანხიდან გადადებულ იქნეს ერთდროულად სახელმწიფო კონტროლის განკარგულებაში ასი ათასი (100,000) მანეთი.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წლის დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

## სახელმწიფო კონტროლის შტატი და ხარჯთაღრიცხვა

**1919 1920 წ.**

| №№ რიგზე | თანამდებობათა სახელწოდება | რიცხვი | თვიური ჯამაგ. თვითეულს | წლიური ჯამაგ. თვითეულს | წლიური ჯამაგ. ყველას |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სახელმწიფო კონტროლიორი | ჯამაგირს უნიშნავს საკანონმდებლო დაწესებულება. | | | |
| 2 | სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი | 1 | | | |
| 3 | საქმეთა დირექტორი | 1 | 5000 | 60000 | 60000 |
| 4 | ვიცე-დირექტორი (სექციის გამგე) | 3 | 4500 | 54000 | 162000 |
| 5 | უფროსი რევიზორი | 25 | 3800 | 45000 | 1140000 |
| | მათგან როგორც განყოფილების გამგე | 20 | 200 | 2400 | 48000 |
| 6 | რევიზორი | 47 | 3500 | 42000 | 1974000 |
| 7 | რევიზორის თანაშემწე | 74 | 2500 | 30000 | 2220000 |
| 8 | მთანგარიშე მოხელე | 58 | 1800 | 217000 | 1252800 |
| 9 | მდივანი | 1 | 2500 | 30000 | 30000 |
| 10 | საქმის მწარმოებელი | 2 | 2000 | 24000 | 48000 |
| 11 | რეგისტრატორი | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 12 | რეგისტრატორის თანაშემწე | 3 | 1300 | 15600 | 46800 |
| 13 | არქივარიუსი | 1 | 1600 | 19200 | 19200 |
| 14 | გადამწერი | 6 დე | 1300 | 15600 | 93600 |
| 15 | კანცელარიის მოხელე | 35 ე | 1300 | 15600 | 546000 |
| 16 | შიკრიკი და დარაჯი | 25 ე | 1225 | [illegible] | 367500 |
| 17 | საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი | — | — | — | 250000 |
| 18 | გათბობა და განათება | — | — | — | 60000 |
| 19 | ბინის ქირა | — | — | — | 75000 |
| 20 | შემწეობა მოხელეთათვის | — | — | — | 36000 |
| 21 | საგზაო ხარჯი | — | — | — | 600000 |
| 22 | განსაკუთრებული საჭიროებისათვის | — | — | — | 20000 |
| | სულ | — | — | — | 9066900 |

1919 წ. დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

## დადგენილება

**დამფუძნებელი კრების სხდომების 1919 წლის დეკემბრის 31-დან. 1920 წლის იანვრის 23-დე შეწყვეტისა.**

1. საშობაო და საახალწლო დღესასწაულის გამო შეწყვეტილ იქნეს დამფუძნებელი კრების სხდომები ამა 1919 წლის დეკემბრის 31-დან 1920 წლის იანვრის 23-მდე.

2. შემდეგი პირველი კრება დაინიშნოს პარასკევს 1920 წლის იანვრის 23 ს შუადღის 12 საათზე.

3. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის უფლება მიეცეს—რომელსამე განსაკუთრებულ გარემოების გამო, თუ საჭიროდ სცნობს მოიწვიოს დამფუძნებელი კრება მოქმედებისათვის პირველ მუხლში აღნიშნულ ვადის გასვლამდისაც.

1919 წ. დეკემბრის 31.

საქართველოს დამფუძნებელი
კრების თავმჯდომარის უფროსი
ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეკრეტი

**სასამართლოებში შინაური საბუთებით მოპოებულ უძრავ ქონების შესახებ სამოქალაქო საქმეთა წარმოების შეჩერებისა.**

1. შეჩერებულ იქნეს წარმოება სასამართლოებში იმ სამოქალაქო საქმეებისა, რომელიც აღძრულია უძრავ ქონების მფლობელთა წინააღმდეგ ამ ქონების წინანდელ მფლობელისა, ან მესაკუთრისა, ან მისი მემკვიდრისაგან, უკეთუ სადავო უძრავი ქონება შინაური საბუთებით არის მიყიდული ახალ მფლობელის ხელში 1918 წლის თებერვლის 23 დე.

2. შეჩერებულ იქნეს აგრეთვე აღსრულება პირველ მუხლში აღნიშნულ საქმეების გამო სასამართლოს მიერ გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა, უძრავ ქონების წინანდელ მფლობელისათვის ან მესაკუთრისათვის უძრავი ქონების უკან დაბრუნების შესახებ.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 30.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

**ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

**ევგ. გეგეჭკორი.**

# შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

**შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ განსაკუთრებულ რაზმისა სპეკულაციისა, კონტრევოლიუციისა და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად 1920 წლის იანვრის 1 დან ივნისის 1-მდე.**

| №№ რიგზე. | თანამდებობა. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | თვიური ჯამაგირი თვითეულს. | თვიური ჯამაგირი ყველას. | ყველას 1920 წ. იანვრის 1 დან ივნისის 1 მდე. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რაზმის უფროსი | 1 | 5000 | 5000 | 25000 |
| 2 | მისი თანაშემწე | 4 | 4000 | 16000 | 80000 |
| 3 | უფროსი თანამშრომელი | 40 | 3000 | 120000 | 600000 |
| 4 | უმცროსი „ | 80 | 2500 | 200000 | 1000000 |
| | **კანცელარია.** | | | | |
| 5 | მმართველი | 1 | 3000 | 3000 | 15000 |
| 6 | საქმის-მწარმოებელი | 1 | 2500 | 2500 | 12500 |
| 7 | მისი თანაშემწე | 1 | 2200 | 2200 | 11000 |
| 8 | რეგისტრატორი | 1 | 1300 | 1300 | 6500 |
| 9 | მანქანით გადამწერი | 2 | 1300 | 2600 | 13000 |
| 10 | დარაჯი | 2 | 1200 | 2400 | 12000 |
| 11 | შიკრიკი | 2 | 1200 | 2400 | 12000 |
| | ჯამი. | 135 | — | 357400 | 1787000 |
| 1 | სამგზავრო ხარჯი | — | — | — | 30000 |
| 2 | საგენტო ხარჯი | — | — | 300000 | 1500000 |
| 3 | ბინის ქირა, გათბობა და განათება | — | — | — | 20000 |
| 4 | საკანცელარიო ხარჯი | — | — | — | 15000 |
| | სულ | 135 | — | 657400 | 3352000 |

1919 წ. დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

**ევგ. გეგეჭკორი.**

**არა ოფიციალური განყოფილება**

# მთავრობაში

**6 იანვრის სხდომა.**

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ ნ. რამიშვილი; მინისტრები: კანდელაკი, ხომერიკი, არსენიძე, ლორთქიფანიძე, ერაძე; სახელმწიფო კონტროლიორი—ბ-ნი გოგიჩაიშვილი, მისი ამხანაგი—კ. ანდრონიკაშვილი; მინისტრთა ამხანაგები—ბ-ნნი ჭეჭინაძე, ბახტაძე, გედევანიშვილი, ცინცაძე, ქარცივაძე; დეპარტ. დირექტორი—ბ. ჭეჭინაძე, გ. ჟორდანია; საქმეთა მმართველი—კ. ჯაფარიძე, მდივანი—დ. ლომთაძე.

**უფასო წარმოდგენები ჯარისა და გვარდიისათვის.**

სახაზინო თეატრში ჯარისა და გვარდიისათვის უფასო წარმოდგენების მოსაწყობათ გადაიდოს ყოველთვიურათ განათლების სამინისტროს განკარგულებაში 15900 მან. 10 მილიონიან ფონდიდან ამა წლის 1 იანვრიდან 1 მარტამდე.

**ავეჯეულობის შეძენა გადასახადთა ინსპექტორების კანცელარიისათვის.**

გადასახადთა ინსპექტორების კანცელარიებისთვის ავეჯეულობის შესაძენათ და ტელეფონით სარგებლობისათვის გაწეულ ხარჯების დასაფარავათ გადაიდოს გადასახადთა და ხაზინის სამმართველოს განკარგულებაში 18994 მან. 10 მილიონიან ფონდიდან.

**თავისუფალ მიწების იძულებით დათესვა.**

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება 1920 წ. თავისუფალ მიწების იძულებით დათესვის შესახებ პრინციპიალურათ მიღებულ იქნას.

**სამხედრო წესების მოხსნა დუშეთის მაზრაში.**

ა. წ. 15 იანვრიდან მოიხსნას დუშეთის მაზრაში სამხედრო წესები და გაუქმდეს ამ მაზრის საგენერალ-გუბერნატორო.

**უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმევა.**

სიღნაღის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობის წ. წ. 3 ოქტომბრის დადგენილება ს. პროთაროვის მემკვიდრეებისა და ნ. ა. ამირხანოვისაგან უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევის შესახებ დამტკიცებულ იქნას.

—

გაუქმდეს მთავრობის წასრულ წლის 22 ნოემბრის დადგენილება ქ. თელავის თვითმართველობის საკუთრებათ „კახეთის მცირე ნდობის საზოგადოების" (ყოფილ დედერერის) უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმევის შესახებ და თელავის ქალაქის საბჭოს წ. წ. 6 ოქტომბრის დადგენილება „კახეთის მცირე ნდობის" და საზ—ების უძრავ ქონების იძულებით ჩამორთმევის შესახებ დამტკიცებულ იქმნას.

**სამხედრო მინისტრის ამხანაგის დანიშვნა.**

გენ. ილია ზურაბის ძე ოდიშელიძე დაინიშნოს სამხედრო მინისტრის ამხანაგათ. სამხედრო საბჭოში მინისტრის მოადგილეს თანამდებობაზე დატოვებით.

**სპეციალისტ ოფიცრებისთვის სავალდებულო სამსახურის ვადა.**

საავტომობილო, საავიაციო, რადიო-ტელეგრაფის სკოლების და საინჟენერო კურსების დამთავრებისათვის ოფიცრები ვალდებული არიან იმსახურონ საინჟენერო-სატექნიკო ჯარის ნაწილებში არა ნაკლებ $1^1/_2$ წ.

**დახმარება ოფიცრებს ფორმის შესაძენათ.**

სამხედრო მინისტრის მოხსენება მიღებულ იქმნას და ჯარისა და გვარდიის ოფიცერთათვის 2000—3000 მან. მისაცემათ საჭირო თანხა (ოფიცერთა რიცხვის მიხედვით). გამოთხოვილ იქმნას დამფუძნებელ კრებიდან.

**სამხედრო ბეგარის კანონის შესრულების შესახებ.**

იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ და როგორი სისწორით არის შესრულებული რესპუბლიკის სამხედრო, სამოქალაქო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მიერ ჯარის შედგენა შევსების შესახებ და დეზერტირების წინააღმდეგ მთავრობის მიერ უკვე გამოცემული ბრძანება განკარგულებანი—სათანადო ზომები მიიღოს თვით სამხედრო მინისტრმა შესაფერი ბრძანების გაცემით.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

**ანკეტა საერობო თემების შესახებ.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის საანკეტო ფურცლები დაუგზავნა სამაზრო ერობათა გამგეობებს:

1) მოეწყო თუ არა თქვენს მაზრაში თემები და თუ არ მოეწყო რა მიზეზით?

2) რამდენი თემია მაზრაში (საჭიროა სია თემებისა).

3) რომელ სოფელშია თითო თემის გამგეობა?

4) გაქვთ თუ არა დებულება თემებისთვის, თუ გაქვთ (ან დებულება, ან გეგმა დებულებისა) დაჩქარებით გადმოგზავნეთ ერთი ცალი?

5) საჭიროა გამგეობის აზრი თემების მუშაობის შესახებ; რა ნაკლი აქვს, რა ღირსება, რა აბრკოლებს მათ მუშაობას და სხვა.

**ერობებისთვის სესხის შესახებ.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა იმ ერობების გამგეობებს, რომლებიც სესხს თხოულობენ მთავრობიდან შემდეგი: 1) თუ სესხი ესაჭიროება ერობას წარსული წლის დეფიციტის დასაფარავათ იმ შემთხვევაში ერობამ უნდა წარმოადგინოს ყველა გასამართლებელი საბუთები გაწეულ ხარჯებისა და ვალის რაოდენობისა, 2) თუ სესხი საჭიროა რაიმე საამშენებლო მიზნისთვის, იმ შემთხვევაში საჭიროა შუამდგომლობასთან ერთად ტეხნიკური გამოკვლევა და დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა; 3) თუ სესხი საჭიროა სათესლე ხორბლისათვის და სურსათის შესაძენათ—ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოლაპარაკებას გამართავს მომარაგების სამინისტროსთან სესხათ ან ფულით ან და სურსათის სახით მიცემის შესახებ. ყველა ზემო ჩამოთვლილ საჭიროების თაობაზე შუამდგომლობა ცალცალკე უნდა იყოს აღძრული საჭირო მასალების თანდართვით. ის შუამდგომლობანი, რომლებიც არ დააკმაყოფილებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

**მისალმების დეპეშები.**

მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს მისალმების და მოლოცვის დეპეშები მოუვიდა: ახალქალაქიდან—ერობის თავმჯდომარის ფაჩულიასაგან; სიღნაღიდან—ერობის თავმჯდომარის ახმეტელაშვილისაგან, სოხუმიდან—ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან.

**ზრუნვა ყაჩაღებისგან დაზარალებულზე**

შინაგან საქმეთა სამინისტრო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა ქუთაისის სამაზრო მილიციის რეზერვის უმცროს მილიციელს ისიდორე მესხს მიეცეს 24,945 მან. ყაჩაღების მიერ მისთვის ცეცხლით მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლათ.

**შუამდგომლობა სესხზე ახალქალაქში კერძო აფთიაქის აღსადგენათ.**

შინაგან საქმეთა სამინისტრო მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რათა ყოფილ ახალქალაქის აფთიაქის პროვიზორს ილია ალხაზიშვილს თავის აფთიაქის აღსადგენად სესხის სახით. 1 წლის ვადით მიეცეს 20,000 მან.

# საგარეო საქ. სამინისტროში.

**პოლონეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის წერილი.**

საქართველოს კონსულს ოდესაში ბ-ნ უშვერიძეს შემდეგი წერილი მიუღია:

ბატონო კონსულო! მე მაქვს რამდენიმე ცნობა არა მარტო სამინისტროს აგენტებისაგან, არამედ ბევრ კერძო პირთაგან, რომელთაც დააღწიეს თავი ოდესიდან, რომ თქვენ ენერგიულად და დაუღალავათ იცავდით პოლონეთის მოქალაქეებს ბოლშევიკურ ტერორისაგან, რითაც ხშირათ აგდებდით განსაცდელში თვით თქვენ სიცოცხლეს.

ამიტომ მე ვისწრაფი, ბატონო კონსულო, გიძღვნათ პოლონეთის რესპუბლიკის სახელით გულწრფელი მადლობა ყველა იმ დაუფასებელ სამსახურისათვის, რომელიც თქვენ გაუწიეთ უბედურ პოლონეთის ემიგრანტებს. იყავით დარწმუნებული, რომ თქვენი სახელი ყოველთვის იქნება ხსენებული დიდის მადლობით ჩემ მემამულეთაგან და ღრმათ დარჩება მათ ხსოვნაში და ხელს შეუწყობს უფრო მჭიდროთ გამონასკვოს სიმპატიის კავშირი, რომელიც აერთებს პოლონეთს და ქართველ ერს.

მიიღეთ ბატონო კონსულო რწმუნება უღრმესის ჩემის პატივისცემისა.

# სამხედრო სამინისტროში

სამხედრო სამინისტროს აუარებელი მოლოცვების დეპეშები მოსდის საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო. მოგვყავს ზოგი დეპეშები:

**ახალციხიდან**

ჩემდამი რწმუნებული ათასეულის ოფიცრები და ჯარის კაცები აღვსილი სიამოვნებით და სიხარულით მოგილოცავთ საყვარელ სამშობლოს დამოუკიდებლობის აღიარებას. ეს ფრიად სასიხარულო ფაქტი ნათლად გვიჩვენებს რომ სამშობლო და დემოკრატია მისი, რესპუბლიკანური მთავრობის მეოხებით უკვე დაადგა აყვავების გზას.

დროებით მეცხრე ათასეულის უფროსი

**მაიორი თხმეზური**

—

**სოხუმიდან.**

სოხუმის გარნიზონი ბედნიერია მოგილოცოთ ჩვენი ქვეყნის ფაქტიურად ცნობას.

პოლკოვნიკი **ხრეხელი.**

—

**მანგლისიდან.**

გარნიზონის სახელით მოგილოცავთ თქვენ უდიდეს ისტორიულ ფაქტს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებისას საზაო კონფერენციაზე.

მანგლისის გარნიზონის უფროსი

პოლკოვნიკი **გრიგოლია.**

—

**ტფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილისაგან.**

მე და ჩემდამი რწმუნებულ აღრიცხვის ნაწილის თანამოსამსახურენი, მივიღეთ რა ცნობა ჩვენი სამშობლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა უმაღლესი სიხარულის გრძნობით, სრულიად გამსჭვალულნი მოვალეობის ასრულებით სამშობლოს წინაშე, არ დავიზოგავთ ყოველ ღონეს და ძალას მართალია პატარა, მაგრამ ძლიერ საქართველოს შექმნისათვის.

მაიორი **ლიონიძე.**

—

**ახალქალაქიდან.**

შეერთებული კრება ახალქალაქის ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლობისა გილოცავთ დიდებულ ისტორიულ აქტს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისას გისურვებთ კვლავათაც შეგნებული მეომრობას და გვწამს, რომ მივაღწევთ თქვენის საშუალებით დღეს განთიადისას.

კრების თავმჯდომარე **კაჩულია.**

—

**ერევნიდან.**

გულწრფელად გილოცავთ თქვენი მშვენიერი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღიარებას, დეე ამ ისტორიულ მნიშვნელობის აქტმა განამტკიცოს მეგობრული განწყობილება საქართველოს და სომხეთის მოძმე ერთა შორის.

**გენ. ქიშმიშევი.**

# მაზრის ადმინისტრაცია—მილიციის შტატების შეცვლა.

**შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება.**

(დასასრული)

**I. უმაღლესი ადმინისტრაციის შემადგენლობა.**

1) მაზრის მილიციის უფროსი. 2) მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე.

**II. კანცელარია და მისი შემადგენლობა.**

3) საქმის მწარმოებელი ერთი, მას ევალება მდივნის ფუნქციებიც. 4) ერთი მისი თანაშემწე. 5) რეგისტრატორი. 6) მემანქანე ერთი. 7) გადამწერი ერთი. 8) ერთი მსახური, იგივე შიკრიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### III. მაზრის მილიციის რეზერვი.

9) რჩება თანამდებობანი: უფროსი ცხენოსანი მილიციონერისა, 10) უმცროსი ცხენოსანი მილიციონერისა, 11) უფროსი ქვეითი მილიციონერის.

რაოდენობა მათი თვითეულ მაზრაში განისაზღვრება ამ მოხსენებასთან დართული შტატებით.

### IV. რაიონის ან უბნის ადმინისტრაცია.

12) რაიონის მილიციის უფროსი. 13) საქმის მწარმოებელი. 14) მსახური

დასახელებულ თანამდებობის პირთ ჯამაგირი შედარებით არსებულ ჯამაგირთან უნდა გაუდიდდეს, თუ მივიღებთ მხედველობაში ეხლანდელს გაძვირებულ ცხოვრების პირობებს, და არ შეგვიძლიან არ მივიღოთ, ვინაიდან ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით ბევრი უკმაყოფილება-უსამართლობა ხდება მილიციის მოხელეების მიერ, რომლებიც მოითხოვენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას სარჩო ჯამაგირის მომატების სახით. ამით ერობათა გამგეობებს საშუალება მიეცემა გააჯანსაღონ ზნეობისა და მოქმედების მხრით ადმინისტრატიული მილიციის არსებული შემადგენლობა. ამ ნიადაგზე (ჯამაგირის სიმცირე) ხშირათ განუზრახავთ რომელიმე მაზრის მილიციის მოვალეობის ასრულებაზე უარი განეცხადებინა. თუ ასეთი მდგომარეობა საყურადღებოა და არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ, როგორც ფიქრობს ერობათა წარმომადგენლებთან ერთად სამინისტრო, შემოღებული უნდა იქნეს ქვემორე ჯამაგირები.

ხოლო სანამ ჯამაგირების რაოდენობას აღვნიშნავთ,—საჭირო არის მივიღოთ:

1) სოფლის მილიცია რჩება, მათი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ორს თვითეულ საზოგადოებაზე: მათი გადაჯგუფება შეადგენს მაზრის ერობის კომპეტენციას. 2) არსებულ რაიონის დანაწილება შეადგენს მაზრის ერობის კომპეტენციას. 3) სოფლის საზოგადოებაში ერობის რწმუნებულის კომპეტენციებს არკვევს წვრილი ერთეული მაზრის ერობასთან.

### ჯამაგირები.

1) მაზრის მილიციის უფროსის ჯამაგირი წელიწადში 42,000 მან., ფურაჟის ფული, ან სამგზავრო მაზრაში, თუ ცხენი არ ეყოლება თვეში 500 მან. წელიწადში 6,000 მან. სულ 48,000 მან.; 2) მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწეს თვეში 3000 მან. წელიწადში 36,000 მან. ფურაჟის, ან სამგზავრო მაზრაში, თუ ცხენი არ ეყოლება 500 მან. წელიწადში 6 000 მან. სულ 3,500 მან. წელიწადში 42,000 მან; 2) საქმის მწარმოებელს თვეში 2000 მან. წელიწადში 24000 მან.; 4) მის თანაშემწეს თვეში 1800 მ. წელიწადში 21,600 მან., 5) რეგისტრატორს თვეში 1200 მან. წელიწადში 14,400 მან.; 6) მბეჭდავს 1200 მან. წელიწადში 14,400 მან.; 7) მსახურს 800 მ. წელიწადში 9,600 მან.; 8) კანცელარიის ბინის დასაქირავებლად თვეში 400 მან. წელიწადში 4,800 მან; 9) გათბობა-განათება თვეში 300 მან. წელიწადში 3600 მან.; 10) კანცელარიის ხარჯები თვეში 300 მან წელიწადში 3600 მან.; 11) მაზრის მილიციის რეზერვის ბინის ქირა თვეში 300 მან წელიწადში 3600 მან.; 12) მისი გათბობა-განათება თვეში 200 მან. წელიწადში 2,400 მან.; 13) უფროს მილიციონერს თვეში 1600 მან. წელიწადში 19,200 მან.; 14) უმცროს მილიციონერს ქვეითს თვეში 1500 მან. წელიწადში 18,000 მან.; 15) უფროს მილიციონერს ცხენოსანს თვეში 1500 მ. წელიწადში 18,000 მან. და ფურაჟის თვეში 500 მან. წელიწადში 6000 მან. სულ თვეში 2000 მან. წელიწადში 24000 მან.; 16) უმცროს მილიციონერს თვეში 1400 მან. წელიწადში 16,800 მან., ფურაჟის თვეში 500 მან. წელიწადში 6000 მან. სულ 1900 მან. წელიწადში 22,800 მან.; 17) რაიონის მილიციის უფროს თვეში 2000 მან. წელიწადში 24000 მან., ფურაჟის თვეში 500 მ. წელიწადში 6000 მან. სულ 2500 მან. წელიწადში 30,000 მან.; 18) საქმის წარმოებელს რაიონში თვეში 1400 მან. წელიწადში 16800 მან.; 19) მსახურს თვეში 800 მან. წელიწადში 9600 მან.; 20) კანცელარიის და მილიციონერების ბინის ქირა თვეში 200 მან. წელიწადში 2400 მან.; 21) მისი გათბობა-განათება თვეში 200 მან. წელიწადში 2400 მან.; 22) საკანცელარიო ხარჯები თვეში 100 მან. წელიწადში 1200 მან.; 23) პოსტების ბინის ქირა თვეში 100 მან. წელიწადში 1200 მან; 24) მისი გათბობა-განათება თვეში 100 მან. წელიწადში 1200 მან.; 25) სოფლის მილიციონერებს თვეში 1200 მან. წელიწადში 144,000 მან.; მოულოდნელი ხარჯები თითოეულ მაზრაში თვეში 120,000 მან.

### საერთო რიცხვი მოხელეთა ასე ირკვევა.

1) რამდენი სამილიციო უბანია, იმდენი უფროსი მილიციონერი უნდა იქნეს და გარდა ამათი, მაზრის რეზერვების ოთხი უფროსი მილიციონერი;

2) სოფლის მილიციონერების რაოდენობა უდრის ორ-ორ მილიციონერს თითოეულ საზოგადოებაში. საზოგადოების რაოდენობის აღრიცხვის დროს ერობამ უნდა იხელმძღვანელოს შტატებით, სადაც შეტანილია და სადაც ეს არის ნაჩვენები იმ ოფიციალური ცნობებით, რომელიც კავკასიის კალენდარში მოიპოვება;

3) რაოდენობა უმცროსი მილიციონერებისა უდრის იმ რიცხვს, რომელიც ნაჩვენებია შტატებში;

4) მილიციის და ადმინისტრაციის ახალი შტატები ძალაში შედის ამა წლის პირველ ნოემბრიდან;

5) უბედური შემთხვევის დროს სახელმწიფო ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულთ, ან მის ოჯახს. ვიდრემდი კანონმდებლობითი წესით გატარებული იქნება კანონი დაზღვევის შესახებ აღნიშნული შემთხვევის გამო, მანამდის სახელმწიფომ უნდა გადასდოს 100,000 მან. დაზღვევის ფონდის შესაქმნელათ, საიდანაც მიეცემა დახმარება დაზარალებულ მილიციონერებსა და მათ ოჯახებს.

6) ადმინისტრატიული მილიციის ფორმის შემუშავება უნდა მიენდოს ერობათა ბიუროს.

### მილიციისა და ადმინისტრაციის გაუმჯობესება—გაჯანსაღებისათვის აუცილებლათ საჭიროა:

მილიციასა და ადმინისტრაციას მიენდოს მარტო ის საქმეები, რომელნიც მაზე მინდობილი აქვს კანონს (დროებითი მთავრობის კანონი 1917 წ. აპრილის 17), ე. ი. უმთავრესათ სისხლის სამართლის საქმეები; (მუხ. 18, 19, 20, 21, 22 და 23) ამიტომ მაზრის ადმინისტრაციას უნდა ჩამოშორდეს ის საქმეები, რომელიც უნდა განაგოს თვით ერობამ და სასამართლომ.

უნდა მიეცეს მილიციასა და ადმინისტრაციას გარკვეული წესები, თუ როგორ უნდა აასრულონ მათ ზემონაჩვენები საქმეები, რომ ადგილი არ ჰქონდეს თვითნებობას. ასეთი წესები მეტადრე საჭიროა რეკვიზიციის, ბეგარის და ფულის აკრების საქმეებში.

მილიციის მოხელეთ უნდა დაევალოს შეისწავლონ თავისი საქმე: იარაღის ხმარება, გამოძიების მოხდენა და სხვა, რისთვისაც გამოცემული უნდა იქნეს მდაბიო ენით დაწერილი სახელმძღვანელო წიგნაკი; დაევალოს მილიციის უფროსს სისტემატიური სწავლა მილიციონერების; შემოღებულ იქნეს გამოცდები და მოწყობილ იქნეს მილიციის უფროსების ყრილობები.

უნდა დაწესდეს ერობის გამგეობის მხრით მუდმივი და სისტემატიური რევიზია მილიციის მოქმედების, ამისთვის საჭიროა, სხვათაშორის, ანგარიში, თუ რამდენი ბოროტმოქმედება მოხდა მაზრაში, რამდენი ამათგანი გამორკვეულია და დამნაშავეები დაჭერილი, რამდენი ტუსაღი დაუხოციათ გაქცევის დროს და სხვა. ამისთანა ცნობები შეძლებას მოგვცემს დავასკვნათ, თუ რამდენათ პირნათლათ ასრულებს მილიცია თავის მოვალეობას; დრო გამოშვებით, სერიოზულ შემთხვევებში, საჭიროა სარევიზიო კომისიის დაარსება ერობის ხმოსნების მონაწილეობით. ყოველივე ზემორე მოვალეობანი მილიციისა სისტემატიურათ უნდა ეცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას, როგორც უმაღლეს ადმინისტრატიულ ორგანოს, და რესპუბლიკაში არსებულ მდგომარეობას ყოველთვის კარგათ იცნობდეს, ვინაიდან საერთო მიმართულების მისაცემათ ეს აუცილებელია.

ყურადღების ცენტრს წარმოადგენს ამ საკითხში ფინანსიური მხარე. ამაზე იქონია მსჯელობა ერობათა წარმომადგენლების ყრილობამ და საქმის დაჩქარებით სასურველ ნიადაგზე დასაყენებლათ მივიდენ იმ აზრზე, რომ ადმინისტრაციისა და ადმინისტრატიული მილიციის რჩენა სავსებით უნდა იკისროს მთავრობამ იმ დრომდე, სანამ ერობები მოღონიერდებიან და საკუთარ საგადასახადო აპარატს შექმნიან, ხოლო სოფლის რწმუნებულის შენახვა უნდა დაევალოს თვით საერობო ერთეულებს. ეს შენახვა მთავრობას დაეკისრება მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში. ერობები ამ წელს ცუდ ფინანსიურ პირობებში იმყოფებიან და მილიციის ფინანსიური მხრით საერთო მდგომარეობაში ჩაყენება ზედმიწევნით სახიფათოა. მაგრამ ერობებმა თავს უნდა იდონ ისეთი ხარჯების გაწევა, რომელიც გამოწვეულია მაზრის თავისებურობით, მაგ. დიდ ქალაქში მყოფი რეზერვისთვის შტატზევით დამატების მიცემა, ზოგიერთ კერძო შემთხვევაში საჭირო ინვენტარის შეძენა და სხვა.

### ჯამაგირების და სხვა ხარჯების რაოდენობა თითოეულ მაზრაში წლიურათ.

1) სიღნაღის მაზრა 3,909,600 მან., 2) თიანეთის—2,670,600 მ., 3) შორაპნის—4,826,400 მან., 4) გორის—10 135,200 მ., 5) ბორჩალოს —5,497,800 მ., 6) ქუთაისის—4,998,000 მ., 7) სენაკის—3,841 200 მან., 8) დუშეთის—3,407,400 მ., 9) ახალქალაქის—3,934,000 მ., 10) ლეჩხუმის—3,847,000 მ., 11) ოზურგეთის —4,424,800 მ., 12) ტფილისის—6,128 400 მ., 13) რაჭის—3,700,200 მ., 14) ზუგდიდის—4,876,200 მ., 15) თელავის—2,778 000 მ., 16) ახალციხის—4,394,400 მ., 17) აფხაზეთის —8,325,200 მ.

**შენიშვნა:** აფხაზეთის შტატი არის გატარებული უცვლელათ, როგორც ეს წარმოდგენილი იქნა აფხაზეთის კომისარიატისაგან. ეს შტატი, რომელიც მიღებულ და დამტკიცებულ იქნა აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ ამა წლის 6 ივლისს, მოქმედებს აფხაზეთის ტერიტორიაზე 1919 წლ. 1 ივნისიდან.

ზემორე დასახელებულ თანხას ზედ ერთვის ყველა მაზრისათვის წლიურათ მილიციის მოხელეთათვის უბედური შემთხვევაში დასახმარებლათ მათი ოჯახისთვის 100,000 მან.

მოვახსენებ ზემორეს რესპუბლიკის მთავრობას და პატივი მაქვს ვსთხოვო, რათა ჩამოთვლილი მაზრების და აფხაზეთის საჭიროებისათვის მიმდინარე საბიუჯეტო წლის დამლევამდე 1919 წლ. 1 ნოემბრიდან 1920 წ. 1 ივნისამდე ადმინისტრაცია—მილიციის სარჩოთ 47,060,066 მან. და 67 კაპ.+100,000 მან.=47,160,076 მან. 67 კაპ. გადასადებლათ შეტანილ იქნეს დამფუძნებელ კრებაში ამაზე დართული კანონ-პროექტი და შტატები დასაკანონებლათ.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

---

## მასწავლებელთა ყრილობა.

### 4-დღე.

თავმჯდომარეობს **ალექსანდრე მდივანი.** გრძელდება ადგილებიდან მოხსენებები. **კიკვაძე.** (რაჭის მაზ.) რაჭის მაზრაში სამსახურს გაურბიან რიგიანი მასწავლებლები. ახლად დანიშნული მასწავლებლები ოდნავათაც ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას. სკოლები მოუწყობელია. მასწავლებლებს ხშირად უხდებათ 2—3 განყოფილებასთან მეცადინეობა. ინსტრუქტორი გვიან დაენიშნათ.

**ჩიქოვანი.** (ბათუმი) ბათუმში არსებობს 2 დაწყებითი და ერთი წ. კ. გ. ს. სკოლა. არ არსებობს მასწავლებელთა კავშირი. ოსმალეთის შემოსევისას სკოლები განადგურდენ. გიმნაზია იმყოფება უმწეო მდგომარეობაში, ვინაიდან მას ვერ აქცევს ჯეროვან ყურადღებას ვერც მთავრობა და ვერც ადგილობრივი საზოგადოება. ამ ჟამათ სწავლის მსურველნი ძლიერ ბევრია, მხოლოდ დაკმაყოფილება კი ძნელია შესაფერი ბინის უქონლობის გამო. სახელმძღვანელოების და სხვა სასკოლო საგნების შეძენა შეუძლებელია განსაკუთრებულ სიძვირის გამო. გიმნაზიაში სწავლობენ მუსულმანებიც. საჭიროა განსაკუთრებულ პირობებში მყოფ ბათუმის სკოლებს მეტი ყურადღება მიაქციოს მთავრობამ.

**ქობულია.** (ზუგ. მაზ.) მაზრაში არსებობს 100 დაწყ. სკოლა. 1918 წ. ფილიალები იყვნენ შეუკავშირებელი. 1919 წ. შეკავშირდენ სამაზრო კავშირში. ვინაიდან გამგეობა ცენტრში სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებდა მუშაობას, იძულებული გავხდით გადაგვეტანა დაბაში. მაზრის ერობასთან კავშირი მუშაობს კონტრაქტით.

**მუმლაძე** (ქ. ფოთი) ქალაქში არსებობს 8 დაწყ. სასწავლებელი და ერთი უმაღლესი აგრონომიულ განყოფილებით. არსებობს ფილიალი, რომელშიაც შედიან ყველა ტიპის მასწავლებლები. ქალაქს არა ყავს განსაკუთრებული ინსტრუქტორი. კავშირმა დაარსა საპედაგოგიო კურსები.

**ხამხაძე.** (ფოთ. სახ. სასწ.) მომხსენებელი შეეხო ფოთის, ბორჯომის და ხონის სახელოსნო სასწავლებლების მდგომარეობას და აღნიშნავს ამ სასწავლებლების განსაკუთრებულ მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მთავრობა მეტ ყურადღებას აქცევს სატეხნიკო საპროფესიო განათლებას, ხსენებულ სასწავლებლებში დღემდისაც საქმე ვერ არის დაყენებული სასურველ ნიადაგზე.

**ნ. ძიძიგური.** (რკინ. გზ. სკოლა) რკინის გზის მასწავლებლების მდგომარეობა შედარებით უკეთესია ერობის მასწავლებლებზე. დაცულია უფლებრივი და ეკონომიური ინტერესები. სკოლები გაეროვნებულია. მთელ ხაზზე ითვლება 200-მდე სკოლა, თითო მასწავლებელს ყავს არა უმეტეს 40 მოწაფისა. ჯამაგირებს იღებენ თავის დროზე. ეძლევათ გირვანქა პური 3 მან. კონფერენციებზე რკ. გზ. მასწავლებლობა მოითხოვს ერთ ადგილს.

**ღუდუშაური.** (თელ. მაზრა). მაზრაში არის 41 დაწყ. სასწავლებელი. მასწავლებელთა რიცხვი—112. კავშირში შედიან, როგორც ქალაქის, ისე მაზრის მასწავლებლები. სამაზრო ერობასთან დაარსებულია სასკოლო საბჭო, რომელიც განაგებს სასკოლო საქმიებს. საბჭომ მოაწყო ხატვა-ძერწვის კურსები. ერობა აძლევს მასწავლებლებს 2 ფუთ პურს და 1 ფუთ სიმინდს თვეში უფასოდ.

**პატარაშვილი.** (გორის მაზ.). აღნიშნავს სკოლის ცხოვრებაში ორ მომენტს: ძველი სახ. ინსპექტორების და ერობის ხანებს და დაასკვნის, რომ პირველი ხანის სკოლებისათვის არაფერი თვალსაჩინო არ დაუტოვებია, სამაგიეროდ ენერგიულ სასკოლო განყოფილების გამგის წყალობით მაზრაში გაიხსნა 47 ახალი სკოლა. მასწავლებლები უზრუნველყოფილია ნივთიერად. ძველი ინსპექტორების მიერ გაცემული დოკუმენტების წყალობით მასწავლებლებს უფერხდებათ ხუთ წლეულების მიღება.

**კობიაშვილი.** (დუშ. მაზ.) დუშეთის მაზრაში არსებობს 35 სკოლა. მხოლოდ ყველა ეს სასწავლებლები არსებობენ ქაღალდზე. დანიშნული მასწავლებლები ოდნავაც ვერ დგანან თავის სიმაღლეზე, სანახევროდ მათ სკოლებშიაც ვერ ნახავ. მომხსენებელი დაწვრილებით აღნიშნავს ბოლშევიკების შემოსევის დროს და დასკვნის, რომ ბოლშევიკებმა სავსებით გაანადგურეს სკოლების ინვენტარი. თუმცა ერობა ღებულობს ენერგიულ ზომებს სკოლების შესაკეთებლად, მაგრამ დიდი იმედის დამყარება შეუძლებელია, რომ ამ მოკლე ხანში სწავლა განათლების საქმე რიგიანად მოეწყოს დუშეთის მაზრაში. მომხსენებელი ყრილობამ შინაარსიანი მოხსენებისათვის დააჯილდოვა ტაშით.

**ყაზბეგი.** (სიღნ. მაზ.) მაზრაში ითვლება 100 მდე დაწყებითი სკოლა. სკოლები მოუწყობელია, ბინები უვარგისია. რიგიანი მასწავლებლები არ მოდიან. კავშირი არსებობს, მაგრამ სისტემატიურად ვერ იკრიბება ფილიალების სიშორის გამო. ერობა თავის დროზე ჯამაგირებს არ აძლევს მასწავლებლებს და მათ უხდებათ თვეობით ცდა ჯამაგირებისათვის.

**ია კარგარეთელი.** (ტფ. სახ. გალ. მასწ.) მომხსენებელმა წარმოსთქვა ლამაზი სიტყვა სკოლებში გალობის საჭიროებაზე და ითხოვა ყრილობას გამოეთქვა თავისი აზრი ამის შესახებ. ასეთ საყურადღებო მოხსენებისათვის ყრილობამ გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შესაფერი რეზოლიუციების გამოტანა.

**გ. ბურჯანაძე** (ახალ., ახალქალ. და ბორჩალოს მაზრა) მესხეთ-ჯავახეთში დღემდე არ იყო ფილიალი. ის იქ ეხლა ეწყობა, ბორჩალოს მაზრაში არის 5 დაწყ. სასწავლებელი, მაზრაში არის 12 ქართული სოფელი, სადაც შეიძლება გაიხსნას სკოლები, მაგრამ დღემდისაც ვერ ვიშოვეთ იმ მაზრისათვის მასწავლებლები, მიუხედავათ იმისა, რომ სანოვაგის მხრით იქ სასახური გაცილებით უკეთესია. ამ მაზრიდან წარმომადგენელი არ არის.

**ქადაგიძე.** (თუშ ფშავ ხევს.) ამ მხარეში არსებობს სამიოდე სკოლა, სადაც თითქმის არასოდეს არ არის ნორმალური მეცადინეობა, მას უხდება ლაპარაკი არა იმაზე, რაც არსებობს, არამედ რაც არ არსებობს, ეს მხარე თავის მსოფლმხედველობით, ზნე-ჩვეულებით და ჩაცმა-დახურვით სრულებით არ გავს ბარ საქართველოს. ადამიანს ასე ეგონება, თითქოს ეს ხალხი მხოლოდ საქართველოს ბუნებრივ სიმაგრის დასაცველათ იყვნენ შეხიზნულნი ძველათ და ახლა მთებში არავითარი თანამედროვე კულტურის ნასახი ამ ხალხში დღემდე არ არის შესული და საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ მხარეს.

**ნ. ნაკაშიძე.** („ნაკ." რედ.) კითხულობს ვრცელ და დასაბუთებულ მოხსენებას საბავშვო გამომცემლობაზე, რომელიც ყრილობამ სავსებით გაიზიარა და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

**გ. ჭუმბურიძე.** (დაბ. სკ. მთავ. გამ.) მომხსენებელი ეხება აფხაზეთ-სამურზ. და მესხეთ ჯავახეთის მაზრებს, საიდანაც წარმომადგენელი ყრილობაზე არ გამოცხადებულა. აფხაზეთ სამურზაყანოში არსებობს 135 დაწყებითი სკოლა. ახალციხეში 5, ხოლო მაზრაში კი 6, ეხლა გაიხსნა 2. სკოლები არის ქართული, თათრული და სომხური. უფრო ნაკლები სკოლების რიცხვია ახალქალაქის მაზრაშია. ამას გარდა მომხსენებელი ეხება ერობების დამოკიდებულებას სკოლებთან. ის ლაპარაკობს, რომ არ შეიძლება ერობებზე ბევრი საყვედურის თქმა, ვინაიდან თვით ეს

ერობებიც ჯერჯერობით ვერ არიან რიგიანად განტვირთულნი. აღნიშნავს აგრეთვე მთავრობის ნაყოფიერ მოღვაწეობას სწავლა-აღზრდის საქმეში. დაბალი და უმაღლესი სკოლები გადასცა თავის კრედიტებით თვითმართველობებს. სკოლები გააეროვნა, გამოსცა დროებითი პროგრამები. დაუმტკიცებელ უმაღლეს სასწ. მასწავლებლების შესახებ მომხსენებელი განმარტავს, რომ ამის მიზეზი არის მეტი მოუმზადებლობა იმ სკოლებისათვის. საერთოდ სკოლების მდგომარეობა, თუ შევადარებთ 1917, 18 და 19 წლებს, ბევრად გაუმჯობესებულია. ამის შემდეგ მოხსენებები ადგილებიდან დამთავრდა და ყრილობამ აირჩია 5 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ღირს-შესანიშნავ მოხსენებების შესახებ შესაფერი რეზოლუციების გამოტანა.

# დეპეშები.

### (საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

### იანვრის 16 სხდომა

### უცხოეთი სადგურიდან.

ქალაქი ფიუმე გადაცემული იქნება იტალიის სუვერენიტეტში. ფიუმეს ნავთსადგურს ახლო მდებარე ტერიტორიას ანექსიას უკეთებს იტალია, მაგრამ იმ პირობით, რომ ერთა ლიგა სამხრეთ-სლავიასა და უნგრეთს ამ ოლქში კომერციულ უფლებათა გარანტიას აძლევს. ფიუმე ლიუბლიანა ლაიბახის რკინის გზა მიეკუთვნება სამხრეთ სლავიას. რაც შეეხება ზარას, მას ერთა ლიგასაგან მიეცემა გარანტია იმისა, რომ მან თავისი სურვილით ამოირჩიოს ის სახელმწიფო, რომელსაც იგი თავისი ინტერესების დაცვას მიანდობს.

**ფრანგული პრესა.**

სამშაბათს შესდგა ახალი სენატის პირველი სხდომა. ელზას-ლორენელ სენატორებს დიდის ზეიმით შეეგებნენ. დეკლარაცია წაიკითხა ქვემო რეინის სენატორმა ეკკარმა. მან მოიგონა ის დეკლარაცია, რომელიც დეპუტატთა პალატაში იყო თქმული. ელზას ლორენელი სენატორები, სამი დეპარტამენტის სახელით უსიტყვოთ უერთდებიან 7 დეკემბრის დეკლარაციას, რომელიც პალატაში გააკეთეს ელზას ლორენის დეპუტატებმა. სამართლიანობამ აუცილებლათ უნდა დაადასტუროს ელზას ლორენელების ერთგულება. 1870 წლის დანაშაული არ უნდა დარჩენილიყო უპასუხოთ და გამოუსწორებლად. ეხლა გაიმარჯვა სამართლიანობამ და უსამართლობა გამოსწორდა. დასასრულ სენატორმა სთქვა: ბატონებო, ჩვენ აღვასრულეთ ფიცი; საერთო სამშობლოდან დროებით ჩამოშორებულმა, ელზას-ლორენელმა თქვენმა ძმებმა, შეინარჩუნეს საფრანგეთისადმი შვილური სიყვარული მანამდის, სანამ ელზას-ლორენი არ დაბრუნდა, რომ თავისი ადგილი დაეჭირა. უმაღლეს საბჭოს სხდომაზე ყოფნის გამო კლემანსო ვერ დაესწრო სენატის გახსნას. კლემანსოს მაგიერ ნაილმა სიტყვით მიმართა ელზას ლორენელ სენატორებს. 44 წლის განმავლობაში ძალადობას ახდენდენ უფლებაზე. სიამაყითა და თავიანთი სიძლიერით დათვრალ გერმანიას მშვიდობიანად უყურებდა ის ხალხი, რომელთაც პირველად ვერ გაიგეს გერმანიის უსამართლობა და საშიშროება, რომელიც თითონ მათ მოელოდა. საფრანგეთი კი ნელნელა და ჩუმად იტანჯებოდა. მეორე მხრით კი ჩვენი ძმები, დიდებულნი თავის ჯიუტობაში, ებრძოდენ გერმანიზაციას... (შემდეგი არ მიგვიღია).

სენატის თავმჯდომარეთ ამოირჩიეს ლეონ ბურჟუა. კლემანსოს ყრის შედეგსა და ახალი თავმჯდომარის სიტყვას მხურვალე ოვაციებით შეეგებნენ. ამგვარად საფრანგეთის მაღალმა კრებამ თავისი ღრმა პატივისცემა გამოხატა ერთა ლიგაში მყოფ საფრანგეთის წარმომადგენლის მიმართ.

სენატის სხდომა მოხდა ოთხშაბათ საღამოს. ცოტა ხნის თათბირის შემდეგ სასამართლომ 17 თებერვლისათვის დანიშნა კაიოს პროცესის გარჩევა.

ჯერჯერობით დაღუპულ გემ. „აფრიკიდან" გადარჩენილია 40 კაცი. მაშველი ნავები ნავთსადგურში დაბრუნდენ.

დეპუტატთა პალატის 1920 წლის სესიის პირველ სხდომაზე 455 ხმიდან—445 ხმით თავმჯდომარეთ კვლავ დეშანელი ამოირჩიეს.

პარიზის მეორე კონფერენცია, რომელიც ადრიატიკის საკითხს არჩევს, გრძელდება სამ მინისტრს შორის. მზათ არის ხელშეკრულება უნგრეთთან.

უნგრეთთან საზავო ხელშეკრულების ტექსტი, იმ სახით, როგორც ეს სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა, ხუთშაბათ საღამოს გადაეცემა უნგრეთის დელეგატებს.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან: მოკავშირეთა საზღვაო კომისია ადმირალ შარიტონის მეთაურობით კვირის ბოლოს პორტსმუტიდან მიემგზავრება კილში, რათა თვალყური ადევნოს საზღვაო ხელშეკრულების პირობების ასრულებას.

„სამის" კონფერენციის სხდომაზე ორშაბათს გამომუშავებულ იქნა ადრიატიკის საკითხის გადაწყვეტის პროექტი, რომელიც დაუყონებლივ ჩააბარეს სამხრეთ სლავიის დელეგატებს. უკანასკნელებმა შესაძლებლად ვერა სცნეს მისი მიღება. მათ ტექსტი დეპეშით აცნობეს თავის მთავრობას, რომლის პასუხსაც ელიან.

ხუთშაბათ დილით პარიზში ჩამოვა ლორდ გრეი, რათა შეერთებულ შტატებში მყოფ მისიის შესახებ დაწვრილებით მოელაპარაკოს ლორდ ჯორჯსა და ლორდ კარზონს.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის გამო ოთხშაბათს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საფრანგეთის მთავრობის სახელით ინგლისის პრემიერ მინისტრს ლოიდ ჯორჯსა და იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიტტის გადასცეს საპატიო ლეგიონის დიდი ჯვარი იმის მადლობის ნიშნათ, რომ მათ საფრანგეთთან ერთად ომი გამარჯვებამდის მიიყვანეს.

პარასკევ ლეონ ბურჟუას თავმჯდომარეობით ერთა ლიგის აღმასრულებელი საბჭოს პირველი სხდომა მოხდება. დაესწრებიან, ლორდ კარზონი, ვენიზელოსი და გეიმანი. იაპონია იქნება წარმომადგენელი მატსუით. კლემანსომ ცნობა მიიღო, რომ ერთა ლიგას შეუერთდა ისპანია, შვეცია, ნორვეგია, დანია.

ორშაბათს დილით უნგრეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი ზავის პირობებზე თავის პასუხს არ დააყოვნებს და რომ იგი ძლიერ კმაყოფილია მით, რომ ამ პირობათა შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა შეერთებულ შტატების წარმომადგენელიც. დელეგაციამ კონფერენციას წარუდგინა მრავალი შენიშვნა და რუკა იმ მიზნით, რომ საზავო პირობების შეუცვლელად წარდგენილი არგუმენტაცია განემტკიცებია.

ხუთშაბათს კლემანსო, ლოიდ ჯორჯი, ნიტტი, მატსუი და უელესი გრაფ აპონიის თავმჯდომარეობით მყოფ უნგრეთის დელეგაციას გადასცემენ ზავის პირობებს, პარასკევს აპონი უნგრეთს აცნობებს საქმის მდგომარეობას. თავის შენიშვნები მან უნდა წარმოადგინოს 15 დღის განმავლობაში.

# სხვა და სხვა

— მე-7 უბნის კომისარ გვალიანის ცნობით, იმავე უბნის მცხოვრებმა მარიამ კახუაშვილმა განუცხადა მას, რომ მან იპოვა კახეთის ქუჩაზე 590 მანეთი. კომისარი სთხოვს დამკარგველს გამოცხადდეს ფულის მისაღებად.

— მრავალ რიცხოვანი მიტინგი ბაკურციხის თემის მცხოვრებთა მოგესალმებათ თქვენ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეთ. გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას საგარეო პოლიტიკაში და ფიცსა სდებს ემსახუროს მთელი თავისი ძალ-ღონით ჩვენს ნორჩსა და თავისუფალ რესპუბლიკას დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულს. ბაკურციხის თემის თავმჯდომარე ვიქტორ ვ ჩ-ნაძე.

— სოფელ ჯავაში (გორის მაზრა) რომელიც შორავს ცხინვალს 21 ვერსით გაიხსნა ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება. ყოველგვარ კორესპონდენციის გაცვლა გამოცვლას აწარმოებს გორის კანტორასთან.

— საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის საბჭომ საქართველოს ცენტრალურ სავაჭრო სამრეწველო ბანკის საქმეების გამო გაგზავნა: პ. გოთუა ქ. ქუთაისში და ოზურგეთის მაზრაში; დ. კალანდაძე—ბათუმში; ალექსანდრე ასათიანი სოხუმ-ფოთ ზუგდიდ-სენაკში და დ. ჩხეიძე—კახეთში.

— კვირას, 1920 წლის 25 იანვარს, დილის 10 საათზე, ტფილისის სასოფლო-სამეურნეო-ბანკის ბინაზე დანიშნულია საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა; საბჭო სთხოვს ხსენებულ დაწესებულებათ ამ ყრილობაზე თავისი წარმომადგენლები გამოგზავნონ შესაფერი მანდატით.

— საქართველოს ტეხნიკური საზოგადოება აცხადებს პროვინციელთა საყურადღებოდ, რომ ტეხნიკური ლექსიკონი რაც შეიძლება საჩქაროდ დაიკვეთონ. (ტფილისი, დიდი-მთავრის ქ., № 70, პოლიტეხნიკური სასწავლებელი, ინჟ. კაკაბაძეს).

— ქ. მარიამ ერისთავის თაოსნობით ქ. ტფილისში ახლო მომავალში დაარსდება ქ-ნ მონტესორის სისტემის საბავშო ბაღი ეგრეთ წოდებული „ბავშვის სახლი", სადაც მეცადინეობა—აღზრდა ქართულ ენაზე იქნება. ეს სულ ახალი ტიპის საბავშვო ბაღია და ქ-ნმა მონტესორმა თავის დროზე გადატრიალება მოახდინა პედაგოგიკაში. მიიღებიან ბავშვები 3—7 წ. ჩაწერა და მიღება მამადავითის ქუჩაზე № 36.

— რედაქციას საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მოსდის, მილოცვის დეპეშების ახალი, მოგვყავს ზოგი: ხონის ქალაქის საბჭო აღფრთოვანებით ეგებება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას მოკავშირეთა მიერ და სცნობს რა ამ აქტს შედეგათ იმ სწორი პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდა დემოკრატიული საქართველოს დამფუძნებელი კრება და მისი მთავრობა. უსურვებ სახელმწიფოს ორივე ხელმძღვანელ ორგანოს, მომავალშიაც ასეთივე ნაყოფიერი გზით სვლას ქართველი ერის საკეთილდღეოთ და დემოკრატიული წესწყობილების განსამტკიცებლათ. საბჭოს თავმჯდომარე ხარაბაძე.

### განცხადებანი

სოფიო მოსეს ასული მაერი აცხადებს რომ მისი ქმარი იაკობ ემანიულის ძე მაერი არ სჩანს 1914 წლიდან. სთხოვს ყველას, ვინც იცის სად ცხოვრობს იაკობ მაერი, შეატყობინოს მას შემდეგი მისამართით: მე-5 ავლაბრის ფერმა № 15. სოფიო მაერს.

მარია ნიკოლოზის ასული ცაციშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლის კანცელარიიდან აღებული ატესტატი 1895 წ. ატესტატი გაუქმებულად ჩაითვალოს 3—1 75

1918 წ. მარტის 6-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ამხანაგობამ „ავჭალის შუშის ქარხანა კ. ი. პარა და ამხ." 15 000 მ. მიჰყიდა ამხან. „ავჭალის შუშის ქარხანა" მიწის ნაჭერი ზომით 1200 კვ. ს., მდებარე ქვემო ავჭალაში, ტფ. გუბ. და მაზრა. გადახდილია: საქტო 3 მ. განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 600 მ. მთავარი ამონაწერი 75 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 327

ვასილი ბასას ძე ლაზარტყვა აცხადებს, რომ მან ნატანებ და ნიგოითის შუა დაჰკარგა სამგზავრო მოწმობა, № 2203 აღებული ნაესაკოვის სათემო ერობის გამგეობიდან (სენაკის მაზრა) 1919 წ. 15 დეკემბერს. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს. 68 3—1

ნინა ბოკერია და ლიზა სარდლიშვილაძე აცხადებენ, რომ მათ დაჰკარგეს სალექციო წიგნაკები ტფილისის სახელმწ. უნივერსიტეტიდან მიღებული № 1446 და 1468, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 69 3—1

დაკარგულია ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილ. ოლქ. სასამ. უფროს ნოტარიუსის მიერ 1908 წ. ივნისის 20-ს, რეესტრი 1370, მიცემული არტემ (იგივე არუთინ) იაგორ და სერგი ვარიბისძეთ ბაღდასაროვებზე მამულის, რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისში, ფრეილინის ქ., № 9. 56 3—3

ნიკოლოზ პროკოფის ძე პაპოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ს. სართიჭალაში ჩემოდანი, რომელშიდაც იყო: საცვლები, ტანსაცმელი ერთი ხელი და დოკუმენტები. მათ შორის უვადო პასპორტი და რკინის გზის სამმართველოს კანცელარიიდან აღებული დათხოვნის მოწმობა. მოწმობა და პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 64 3—3

## ტფილისის სადარაჯო ამასეულის სამმართველო

(ანტონოვის ქუჩა, ყაზარმები) აცხადებს, რომ კვირას, 18 იანვარს შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დაწუნებულ ცხენებზე და უვარგისი სპილენძის მუსიკალურ ინსტრუმენტებზე. 73 2—2

სამშაბათს, 20 იანვარს, საღამოს 6 საათზე, მიწათ-მოქმედების სამინისტროს ახალ ბინაზე (ყოფილი კადეტთა კორპუსი) გაიხსნება

## ერობათა და საადგილ-მამულო განყოფილებათა

**წარმომადგენლების ყრილობა.**

ყრილობის მიზანია აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარების დასაჩქარებლათ გამოიმუშაოს სათანადო ზომები. დელეგატებს სთხოვენ დანიშნული დროისათვის აუცილებლათ გამოცხადდენ სამინისტროში. 54 2—2

## საქართველოს სატრანსპორტო საზ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა საზოგადო კრების გაგრძელება გადადებულია და დანიშნულია ორშაბათს ამა იანვრის 19 საღამოს 7 საათზე, საურთიერთო ნდობის ბანკის ბინაზე (დამფუძნებელი კრების ქუჩა № 6).

გამგეობა.

## ტფილისის კონსერვატორიის დირექტორი

შეუძლებლად სცნობს, გამოცხადებული ბ. ტერენტიევის მიერ ლექცია 21 იანვრისათვის შესდგეს კონსერვატორიის შენობაში, რასაც ამით აუწყებს საზოგადოებას. 85 1—1

## ტფ. სამხედრო ბინათა დისტანცია

აცხადებს, რომ თებერვლის 7-ს ამა 1920 წ. დანიშნულია პირობნული შეჯიბრება იჯარის მისაცემად ტფ. გარნიზონის ბინებიდან ფუფთაოების და ნაგვის გაზიდვის შესახებ. მსურველს შეუძლია შემოიტანოს თხოვნა პირობების აღნიშვნით არა უგვიანეს 1 თებერვლისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კანცელარიაში (ინჟინრის ქუჩა № 2) დილის 10—3 საათამდე. 5—1 63

## გზათა სამინისტროს

ავტომობილების სარეგისტრაციო კომისია აცხადებს ავტომობილების, მოტორების და მოტოციკლების მეპატრონეთა საყურადღებოთ, რომ სარეგისტრაციო მოწმობების მიღება კომისიისგან (ქ. ტფილისში სერგეევის ქ. № 8 გზატკეცილების სამმართველოში) უნდა მოთავდეს 1920 წლის 15 თებერვლამდის. სარეგისტრაციო განცხადების მიღების შესახებ დროებითი ხელწერილები მუდმივ მოწმობებით უნდა შეიცვალოს. თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის 1919 წლ. 25 აპრილის სავალდებულო დადგენილებისა ავტომობილი, მოტოციკლი, ან ცალკე მოტორი იმ პირს ჩამოერთმევა, ვისაც აღნიშნული ვადის შემდეგ კომისიის მოწმობა არ აღმოაჩნდება, ავტომობილი არ ჩამოერთმევა მხოლოდ მას, ვინც საბუთებით დაუმტკიცებს კომისიას, რომ მან ეს ავტომობილი ამა წლის 15 თებერვლის შემდეგ შემოიტანა ტფილისში და სათანადო მოწმობასაც თხოულობს.

74 2—1 თავმჯდომარე კომისიისა ინჟინერი ა. კაცინსკი.

## კავკასიის დამზღვევი და სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

წესდების მე-46 §-ის ძალით იწვევს ბ.ბ. აქციონერებს ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე, კვირას 1920 წლ. თებერვლის 15-ს დილის 11 საათ. ტფილის. ვაჭართა ბანკის ბინაზე შემდეგი საკითხების განსახილველად: 1. 1919 წ. ანგარიში, 2. 1920 წლ. ხარჯთაღრიცხვა. 3. საბჭოს ორი წევრისა და სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა. 4. საბჭოსა და გამგეობის მოხსენება საზოგადოების ძირითადი თანხის გადიდების შესახებ. 74 1—1